

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
„მოსწავლეთა საინჟინრო აკადემია“
11 ოქტომბერს განაახლებს მუშაობას**

სწავლის თანამედროვე სისტემა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სტიმულირებისა და შეფასებისაკენ, რომელსაც ის ელოდება და იღებს გარედან, სოციალურიდან. ახალგაზრდა ცდილობს, ჯილდოები, წახალისებები გარედან მიიღოს და თავისი შინაგანი ხმა უგულვებელყოფს. შედეგად, შემოქმედებითად ცხოვრების უნარი ეკარგება, იმ დროს, როდესაც სწავლების, აღზრდის უპირველესი ამოცანა სწორედ ახალგაზრდის შიდა სამყაროში შეღწევა, თვითმყოფადი ნიჭის აღმოჩენაა.

ჩვენი უმთავრესი მიზანია, სკოლის მოსწავლეს დავუხმაროთ, იპოვოს გზა საკუთარი თავისკენ, ცოდნისკენ, შემოქმედებისკენ, სიმშვიდისკენ. ახალგაზრდებს ვასწავლით გუნდური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

ვიფიქროთ ერთად და ერთად მოვძებნოთ პრობლემების გადაჭრის გზები

აკადემიის მსმენელებს უტარდებათ ლექცია-სემინარები თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხების, საინტერესო პროცესებისა და მოვლენების შესახებ. ეძლევათ საკითხავები ქართული ლიტერატურის საგანძურიდან; ეცნობიან და ქმნიან სამეცნიერო ფანტასტიკურ პროექტებს

მსა-ში ჩარიცხვა ხორციელდება გასაუბრების შემდეგ

ვინაიდან საშინაო დავალებების, პროექტების შესრულება და წარმოდგენა ხორციელდება საოფისე პროგრამების გამოყენებით, მოსწავლეები შეისწავლიან (დახვეწენ) საოფისე პროგრამებში მუშაობას (Word, Excel, PowerPoint).

მოსწავლეები შეისწავლიან ხელოვნური ინტელექტის (AI) მოწყობილობების ChatGPT-ს გამოყენებას. სასწავლო პროცესში პრაქტიკული დავალებების შესრულებას.

მიმდინარე სასწავლო წელს იმუშავებს შემდეგი მიმართულებები:

მათემატიკა

❖ **V-X კლასელებისათვის:** სასკოლო პროგრამა. სახალისო, საინტერესო ამოცანები, მაგალითები; ჯერ კიდევ გადაუჭრელი მათემატიკური პრობლემები; სპეცგაკვეთილები უფროსკლასელთათვის; დახმარება სასკოლო დავალებების შესრულებისთვის.

სწავლების ყოველთვიური საფასურია 50 ლარი

მათემატიკა აბიტურიენტებისთვის

*(მეცადინეობები ტარდება კვირაში სამჯერ).
სწავლის საფასური განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით.*

პროგრამირება

❖ პროგრამირება: Python, C++ და C#.

კურსის მიზანია ხელი შეუწყოს ალგორითმიზაციის პრინციპების შესწავლას, მათემატიკური და ლოგიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. აღნიშნულ კურსში შეისწავლება მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული დაპროგრამების ენები.

ჩვენი სწავლების მეთოდები ეყრდნობა პროგრამირების სწავლების საერთაშორისო გამოცდილებას და წამყვანი ქვეყნების მეცნიერულ-კოლაბორაციულ კვლევებს.

სასწავლო პროცესი წარიმართება კომპიუტერულ ლაბორატორიაში ინტერაქტიულ რეჟიმში. კურსებზე სწავლა შეუძლია როგორც **სკოლის მოსწავლეებს**, ასევე **ნებისმიერ ახალგაზრდას**.

კურსების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მეტა დაპროგრამების ენა Python

დაპროგრამების ძირითადი გარემოს **PyCharm**-ს ინსტალაცია. ამ გარემოში საწყისი უნარ-ჩვევების ათვისება. მარტივი და საშუალო დონის ამოცანების გადაწყვეტა Python მეტა დაპროგრამების ენაზე. გრაფიკების და დიაგრამების აგება სხვადასხვა სახის ამოცანების ანალიზისა და ვიზუალიზაციისთვის, Matplotlib ბიბლიოთეკის გამოყენებით. პატარა-მარტივი თამაშების აგება.

დაპროგრამების ენა C++

დაპროგრამების ძირითადი გარემოს **Microsoft Visual Studio**-ს ინსტალაცია. ამ გარემოში საწყისი უნარ-ჩვევების ათვისება. მარტივი და საშუალო დონის ამოცანების გადაწყვეტა C++ დაპროგრამების ენაზე. მარტივი თამაშის კოდის დაწერის პრინციპის შესწავლა.

ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების(ოობ) ენა C#

Microsoft Visual Studio გარემოში საწყისი უნარ-ჩვევების ათვისება. მარტივი და საშუალო დონის ამოცანების გადაწყვეტა C# დაპროგრამების ენაზე. მარტივი თამაშის კოდის დაწერის პრინციპის შესწავლა.

სწავლის შედეგები:

- ❖ მოსწავლეებს განუვითარდებათ ალგორითმული, ლოგიკური და მათემატიკური აზროვნება. შეეძლებათ მარტივი თამაშებისა და კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტა.

პროგრამირების კურსზე მიიღებიან IV-VII, VIII-X , XI-XII მოსწავლეები
მხოლოდ მშობლებთან გასაუბრების შემდეგ.

მსა-ში სწავლის მსურველს შეუძლია შეტყობინება გამოგზავნოს მისამართზე: ertadmsa.gtu@gmail.com (გვარი, სახელი; კლასი; ტელეფონი; ელ. ფოსტის მისამართი; კურსის დასახელება).

მსა-ში სწავლის მსურველებთან შეხვედრა დაგეგმილია:

27 სექტემბერი 10:00 - 12:00 სთ.

2 ოქტომბერი 16:00-18:00.

11 ოქტომბერი 10:00 - 12:00 სთ.

სტუ, VIII სასწავლო კორპუსი. III სართული, 313 ბ ოთახი.

მსა მსმენელებთან სააუდიტორო მეცადინეობასთან ერთად ხორციელდება ონლაინ შეხვედრები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

პროფ. ინგა აბულაძე

ტელ: 591 13 12 97

მარიკა ბრეგვაძე, მენეჯერი

ტელ: 558 14 89 49

ელ-ფოსტა: ertadmsa.gtu@gmail.com

მისამართი: თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას 77. VIII სასწავლო კორპუსი, III სართული, ოთახი 313^ბ, ცენტრი „ერთად“.